ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვრართათვის. იოან. 10—11.

მპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული, ცათა შინა, ერთისათვის ეცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშრომელნი და ტვირთა-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 22 1883—1898 30 ნოემბერი.

ᲒᲐᲯᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეთ . . . 3 მან.	12 თვეთ . . . 5 მან.
6 — . . . 2 —	6 — . . . 3 —

ᲤᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲕᲜᲐ ᲨᲔᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲘᲡᲗᲐᲜ:
ᲥᲗ. Кутаисъ, въ редакцію „Мцхетси“ и „Пастыря.“

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲕᲗᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘᲐᲜᲘ, ᲔᲠᲗᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲮᲔᲚᲘ-ᲛᲐᲬᲧᲝᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲣᲙᲐᲜᲔᲒ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲙᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲚᲔ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ *).

მისსიონერი, რომელიც მიდის რომელიმე უცხო მხარეში, პირველად შეუდგება ხსენებული მხარის მკვიდრთა ხნე-ჩვეულების შესწავლას. მზგავსადვე უნდა მოიქცეს მღვდელიც, რომელიც შედის ახალ სამრევლოში: მან უნდა შეისწავლოს კეთილ ჩრდილობის წესები, რომელნიც მიღებულია იმ სოზოგადოებაში, რომელიც ღვთის განგებით ჩაბარდა მას.

მაგრამ არიან ისეთი მღვდლებიც, რომელნიც პირიქით ძლიერ დიდ ყურადღებას აქცევენ საერო პირთა მიხრა-მოხრას და კეთილ ჩრდილობის მათ წესებს: იგინი მონასავით ბაძენ ამ მიხრა-მოხრას,— რის გამო ასეთი მღვდლები ამკირებენ თავიანთ ხარისხს იმაზე მომეტებულად, რომელნიც სრულებით არ დაეძებენ ამ წესების შესწავლას და ცხოვრებაში

* იხ. „მწყემსი“ № 21, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ გამოყენებას. ასეთ მღვდლებს აივწყდებათ, რომ ერის კაცი და მღვდელი ერთი ერთმანერთისაგან ძლიერ განსხვავებულნი არიან. განა სასიამოვნოა, როცა მღვდელი ცდილობს, რომ თავისი მოქმედებით უჩვენოს საზოგადოებას, რომ იგი თუმც ხარისხით მღვდელია, მაგრამ უფრო თანაუგრძნობს ერის კაცთ მიხრა-მოხრაში და მზათ არის ნამდვილი «კავალერობა» გასწიოს შეკრებილ საზოგადოებაში? ძლიერ სამწუხაროა, როცა რომელიმე მღვდელი შეკრებილ საზოგადოებაში სრულიად ივიწყებს თავის ხარისხს და განგებ ცდილობს, რომ საზოგადოებას არც კი აგრძნობინოს, რომ მაი შორის სასულიერო პირი იმყოფება და ბაასის დროს ხშირად იმეორებს: merci. და სხვანი. მღვდლის ასეთი საქციელი იმიტომ არის სამწუხარო, რომ ასეთ მღვდელს ოდგნენ ოჯახებში არა ისე როგორც სულიერ მოძღვარს, არამედ როგორც უბრალო კაცს.

ეხლა ვიკითხოთ, თუ რა სახით უნდა შეეისწავლოთ კეთილი ზრდილობის წესები, რომელიც მღვდელობის ხარისხს შეფერიან და რომლებითაც უნდა გამოვხატოთ მაცხოვრის სიყვარული და მორჩილება მოყვასთადმი? თავდაპირველად ეს წესები უნდა შეეგონონ თავიანთ შვილებს მშობლებმა და მასწავლებლებმა თვიანთ მოსწავლეებს, რომ პატარაობიდანვე კეთილ ზრდილობის წესები შეუსისხლხორცდეს მოზარდ თაობას. სასულიერო სემინარიების და საზოგადოდ სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელნი უნდა ცდილობდნენ, რომ კეთილი ზნეობის წესები შეასწავლონ თავიანთ მოწაფეებს და თვითონაც უნდა აძლევდნენ მოსწავლეებს ამის მაგალითებს.

თუ ვინმე ჩვენგანს კეთილი ზრდილობის წესები თავისავე ოჯახში და შემდეგ სასწავლებელში არ შეეთვისებია, იგი ვალდებულია ეს ნაკლი ხელრიან საზოგადოებაში სიარულით მაინც შეიავსოს, მან ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ რა წესებია მიღებული ხსენებულ საზოგადოებაში, როგორ ეპყრობიან უფროსნი უნცროსებს და მასთან იკითხოს ამ-ამ-ვარი წიგნები. ამავე დროს იგი უნდა იყოს წინდახედული, ნაზიდი. ფრთხილი და თავ-დაჭერილი სიტყვა-პასუხში, და ყველას მსგავნებელი, თავისი ხარისხის დაუმცირებლად.

ცხადია, რომ ყველა ჩვეულებათა აღსრულება საეკლესიოს არაა მღვდლისათვის; ბევრი ისეთი ჩვეულებებია ხალხში, რომელთა ასრულება აბეკრებს მღვდლის ხარისხს და მღვდელი მათი აღსრულებით დაცინვის ღირსიც კი შეიქნება ხალმე. მაგალითად, ზოგიერთ ადგილებში მიღებულია ოჯახის უფროს ქალს, ხელზე აკოცონ; ერის კაცისათვის ეს შესაძლებელია, ვინაიდგან ამ ჩვეულებაში გამოიხატება სტუმრის მიერ პატივისცემა ოჯახის უფროსისადმი, მაგრამ მღვდლისათვის შესაფერი არ არის ამ ჩვეულების აღსრულება. მღვდლისათვის სრულიად საკმაოა, თუ ის იქნება ზრდილობიანი, პატივისმცემელი ყველასი გაურჩეველად ხარისხისა და მდგომარეობისა.

მღვდელმა თავის ცხოვრებაში უნდა გამოიჩინოს: კეთილობა, მოწყალეობა, გულწრფელობა, პატიოსნება, მადლიერობა, შრომის მოყვარება, საზოგადოდ შემკული უნდა იყოს ყველა იმ სიკეთლით, რომელიც ყოველი კაცისათვის საჭიროა. შეცდება ის მღვდელი, რომელიც თავის თავს უცქერის როგორც წმ. ტრაპეზის მოსამსახურეს და ხალხთან ერთობის დროს ივიწყებს იმ სიკეთელს, რომელიც ყოველ კაცს უნდა აქვნდეს. ღვთის სიტყვა გვიჩვენებს, რომ ყოველ გვარი სიკეთელე, რომელიც ხალხს სავალდებულოდ მიაჩნია, მოძღვარმაც უნდა აღასრულოს და ამისათვის მღვდელი არ უნდა მოეშალოს ხალხთან ერთობას. თვით მაცხოვარი აი რას ეუბნება ღმერთს თვისი მოციქულების შესახებ: „მამაო! არ ვიტყვი, რათა აღიხვნე ივინი სოფლისაგან, არამედ რათა დაიცვნე იგინი ბოროტისაგან. ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარავლინენ მათ სოფლად. რათა სოფელსა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (იოან. 17, 15, 18, 21). საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია, მოძღვარი დაუახლოვდეს ხალხს, რომ ეს უკანასკნელიც უფრო შეეფეროსოს თავის სულიერ მოძღვარს და უფრო გიგრძოს მისი სიტყვა-მოძღვრება.

არის კიდევ ერთი მხარე, რომელსაც ჩვენ, მღვდლები სრულიად ვივიწყებთ. მღვდელი უნდა იყოს არა მარტო კაცი და მღვდელი, ამავე ღროს იგი უნდა იქნეს მოძალაქე. წმ. მოციქული პაველ თავის თავს მოქალაქე უწოდა და ამით აუწყა რომის მთავრობას თავისი წოდება. მზგავსად პაველ მოციქულისა ჩვენც — მღვდლებმა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენც გვაქვს უფლება და მოვალეობანი მოქალაქისა. უფლისაგან ჩვენ ყველაზე უფრო მომეტებული უფლება გვაქვს მოცემული, რათა დავმწყსოთ ერი, და ამისათვის უფლისაგანვე მღვდლებს გვაქვს მონიჭებული განსაკუთრებული მადლი. როგორც მოქალაქენი, ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ ჩვენდამი მინიჭებული მადლი და ნათელი ქრისტესი დავფაროთ, პირიქით ეს ნათელი ჩვენ უნდა გავავრცელოთ საზოგადოების ყველა წრეებში, უნდა გვაქვნდეს ვინაწუწეტელი ერთობა საზოგადოებასთან. არც ის ივარგებს, რომ მარტო ზეციურზე ვიფიქროთ და ყოველივე ქვეყნიური უარყოთ. მღვდლის დანიშნულებას შეიდგენს, რომ მან ხილული ქვეყნის შემწეობით ხელი შეუწყოს და დაეხმაროს კაცს, რათა მან დაიმკვიდროს ზეციური ქვეყნის დიდებ.,

ზემოთ ნათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ მოქალაქობრივი ცხოვრების კანონები მოითხოვენ სიყვარულს, თანხმობას, მოთმინებას, მორჩილებას და ყოველ კაცის პატივისცემით მპპყრობას. ამიტომ ყოველი ჩვენი მიხრა-მოხრა, რომელიც ვამოსახეველია ყველ ამ მშვენიერ თვისებათა, არას ღროს მეტ ბარგად არ უნდა დავსახოთ, კარგი მიხრა-მოხრა ნაფოფია კეთილშობილური სულისა და პატიოსანი ქრისტიანული გონებისა. საჭიროა ავღნშნთ, რომ კეთილი ზრდილობის წესები დაიბადნენ ქრისტეანე ერთა შორის, ჩინელები თავიანთი 30,000 სხვა-და-სხვა ცერემონიით ისევ იმ ხალხად არიან დარჩენილნი, როგორნიც იყვნენ ორი ათასი წლის წინად და ასევეშიე დარჩენილნ, ვიდრემდის მათში ქრისტიანობა არ გავრცელდება და არ შეითვისებენ მოყვასთა სიყვარულს და პატივისცემას.

ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ვისაც პატარაობიდგანვე არ შეუწყვლია კეთილი ზრდილობის წესები, მისთვის სძნელია ამ წესების შესწავლა შემდგეში. მაგრამ აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ რაც პატარაობის ღროს არ გვისწავლია, მისი შესწავლა შემდეგში სრულებით აღარ შეიძლებოდეს. რაც უნდა მიყრუებულ სოფლებში გაატაროს მღვდელმა თავისი ბავშობა, მას ღიდობის ღროსაც შეუძლია შეისწავლოს კეთილი ზრდილობის წესები და საზოგადოებაში ჯერ-ოვანად თავის დაჭერა. ასეთი პირისათვის საჭიროა მხოლოდ მონდომა და სურვილი, რათა შეისწავლოს კეთილშობილური მიხრა-მოხრა.

აქვე საპიროდ ვრაცხთ, ზოგიერთი ჩვენი დარიგება ვაუზიაროთ ჩვენ თანამოძმეთ.

თითოეული მღვდელ-მოსამსახურე ვალდებულია იზრუნოს თავის სხეულის სიწმიდეზე. ამას ითხოვს ზრდილობიანობა, კეთილი აღზრდა, მოყვასთადმი პატივისცემა და მღვდლის საკუთარი ტანმრთელობა. ყოველთვის წმიდად უნდა ჰქონდეს მღვდელს პირის სახე, კისერი, ხელები და მთელი ტანი.

თმა, მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ჩვეულებისაებრ, მღვდელს უნდა ჰქონდეს გრძელი. ამით და თავისი ტანსაცმელით მართლ-მადიდებელი მღვდელი განირჩევა საზოგადოებისაგან. თმა უნდა ჰქონდეს რიგიანად დავარცხნილი. მართლ-მადიდებელმა ეკკლესიამ, რომელიც ითხოვს მღვდლისაგან, რომ მას თმა რიგიანად დავარცხნილი ჰქონდეს, ღაადგინა წესი, რომლის ძალით მღვდელ-მთავარს შემოსის ღროს, ტაძარში აწოდებენ სავარცხელს, რომ თავისი თმა რიგიანად დაიყაროს. ძლიერ სასიამოვნოა, როცა მღვდელს თავისი გრძელი თმა და წვერი რიგიანად დავარცხნილი აქვს; მაგრამ არც ზომას უნდა გადაკილდეს ამ შემოხვევაში კაცი. უარგოა, როცა მღვდელი მთელ თავის ყურადღებას გარეგან სიშვენიერეს ანდომებს და მუდამ სხვა-და-სხვა «ტუხებს» ისვამს თმაზე და წვერებზე.

აგრეთვე საჭიროა, რომ მღვდელმა სიწმიდე დაიცვას თავისი ტანთ საცმელის, წიგნების, თავისი სახლის, ეზოს, სამღვდელო შესამოსლების და ეკკლესიის ჭურჭლების შესახებ. ერთი სიტყვით მღვდელი უნდა ცდილობდეს, რომ მთელი მისი სხეული გამომხატველი იყოს სიშვიდისა; მაგრამ ამავე ღროს მღვდელი უნდა მოერიდოს პირმოთნე სიწყნარეს. რამდენათაც ქრისტარიტი სიშვიდე სასიამოვნოა, იმდენად საზარელია პირმოთნე სიშვიდე. მღვდელმა უნდა კარგად იცოდეს, რომ პირმოთნობა ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადელად შეეტყობა კაცს. როცა მოიკქული პავლე არიგებს მსმენელთ, რათა მათ აქენდეთ ეშმარიტი სიმშვიდე, დ.ამბობს: „უფალი ახლოს არს ჩვენდა“. ამ სიტყვებით ის თითქო გვეუბნება ჩვენ: «იყავით მშვიდნი, ვინაიდგან უფალი გვიკქერის ჩვენ».

სიმშვიდეს, რომელიც უნდა აქენდეს განსაკუთრებით სამღვდელო პირს, დიდად აფასებს წმ. ამბროსი მეფიოლანელი. ერთხელ მან კრებულიდან გამორიცხა ორი წერერი, რომელთაც შესაფერი სიწყნარე ვერ გამოიჩინეს. არც მოტყუებულა ეს წმ. მამა: შემდგომში ერთი ამ გამორიცხულთაგანი შეიქნა არიოზის მწვალებლობის თანაზიარი, ხოლო მეორემ ეარეკა ქრისტე. წმ. ამბროსი მეფიოლანელი უბრძანებს მღვდელ-მოსამსახურეთ, რათა მათ აქენდეთ სიმშვიდე სხეულის მიხრა-მოხრაში და დაიცვან კეთილ-შობილური ზომიერება ყოველივეფერში, ღირსება და კეთილშობილება. მღვდელს, ამბობს ეს-ეგვ წმიდანი, შეშვნეს წყნარი მიხრა მოხრა სიარულში: მღვდელს არ შეეფერის ჩქარი სიარული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას მოითხოვს რაიმე საქიროება. აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ არც ის ეარგა, რაცა რომელიმე მოძღვარი მეტის მეტი მედიდურობისგან ერთი ფეხის გადადგმას რამდენიმე წამს ანდოებს და ისე ამყად მიდის, თითქო, მის მახლობლად კაცს ჩაეენი არ იყოს. კარგი უბრალო და ბუნებრივი მიხრა-მოხრა სიარულში და არა ამაყური.

წმ. ამბროსი აქებს ძველ ხალხთა ჩვეულებას, რომლის ძალით სავალდებულოთ ხმარ ლდა კაცის თანშობილი მორცხობის მოთხოვნილებათა აღსრულება, — იმიტომ იგი ეურჩეეს ყოველ მღვდელს იქოანის ყოველივე ეს სახეში. ეს წმ. მამა ამბობს, რომ ჩვენ თვით ბუნება გვასწავლის ამაებსო. ჩვენი სხეულის ყველა ნაწილები დალაგებულია შესაფერად, ხოლო ზოგიერთი ნაწილები დამალულია ჩვენი მხედველობისაგან და ან ამ ნაწილებს ვიფარავთ ტანსაცმელით. პატარა რამ სიტიტვლე რომ გამოგიჩნდეს, დიდათ შეეწუხდებით და შეგვრცხვება. ამავე დროს წმ. მამა გვიჩვენებს ძველ რომაელთა საკმაო ჩვეულებას, რომლის ძალით მოზდილი ბაკშები და სიძეები ამაბრნი ტანს არ იპანდენ თავიანთ მშობლებთან, რომ ამით მათი პატივისცემა მშობლებისადმი არ შესუსტებულიყო.

ღია წერილი.

თელავიდან

დიდი ხანია, მაქვს გაბრაზება შეკეთხებიდი ჩვენს მშიგნობრებს და განსაკუთრებით მშიგნობარ სამღვდელოებას, რათა გამორკეულიეო ერთხელ და სამუდამოდ საეკლესიოო წიგნების საქმე ანბინის მხრივ. ეკრძო წერილებით და ხმა-ეა ხმასთან პირად მიალაპარაკებით დავრწმუნდეო, რომ ახლა უკვე დრო არის ეს საკითხი საქმეკენოდ გარჩეულ და განხილულ იქმნას ყველასაგან.

დიდი ხანი არ ანრის, რაც „ეგერიანი“ დაბეტ-ამაა წერილი ბ.ნ.ს ხახანაშვილისა საეკლესიო წიგნებს გამოცემის შეს ხებ. ეხლა უკვე ვიცით, რომ სინოდის კონტორას გადაუდგა 12,000 მან. საეკლესიო წიგნების დასასტ-ამბად და უკვე შესდგომიან სახარების ბეჭდვას. მე გვარნეს, თუ ხუცურ ანბანის შესახებ აზრის გამოთქმას ინებებენ ჩვენნი მკოდ ხენი, შეიძლება ეს საკითხი ადერულ იქნას, სადაც ჯერ არს და დროზეკ გარდაწყდეს; თე რომელის ანბანით უმჯობესია საეკლესიო წიგნებისა და ეგრეთვე ძველისა და ახალის ადეოქმის და ეტდვა. ამიტომ ს ეშროდ მიგვ ჩნ-ა დიდის ბოდიშითა და მოწიწებით მივმართოთ ეკლესს, ვისაც გეკი შესტეკვა ამ საქმისათვის, უმორჩილესის თხოვნით, რომ განეკვიმარტონ ქკვმორე მოახსენებული კითხვები. ამასთან დიდადა ვთხოვ. ეს მიმართვა განდიერ ბად არ ჩამოგვართვენ. ეგ ნურც ვისსაც ეირდეს ბოლ ამ ნურ ფ ეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანბანით შეიძლებოდეს და მხედრულით-კი არ?

3, შეადგენს თუ არა ხუცურად კითხვის შესწავლა უმეტესს შრომას მხედრულად კითხვა-ს შესწავლასთან შედარებით და ამისი მიზეზი ის ხომ არ არი, რომ მრავალი ასოები ხუცური ანბანისა ერთმანეთს ემსგავსება?

4, ხუცური კითხვა ცოდნა დამუშრებულია მარცვლებს შეერთების უნარზედან, თუ თვით გამოსათქვენი სიტყვებისაგან მეხსიერებაში დატოვებულს კვალზედ?

5, შეიძლება თუ არა, უოველი ახალი აზრი, ხუცურად დაწერილი, ერავე სიმარჯვე თ წაიკითხოს კერგათ ხუცურად მკითხველმა, როგორის სიმარჯვეთაც შეძლება იმავე აზრ-ს წაკითხვა მხედრულად?

6, ხუცურ ანბანს ხომ არა აქვს ხალხში განსაკუთრებული პატივი და მსახურებელი, თუ ხალხი პატივით მარტო საღმრთო და საეკლესიო წიგნებს ეპერობა. იმის მიუხედავად რა ანბან-თაც უნდა იყოს იგი ადაწერილი?

7, ხუცურის ანბანის უარ-ყოფა ხომ არ გამოიწვევს ანბნებრივ-ს და ამ სარწმუნოებრივ-ს ვნებ-ს?

8, ყველა საეკლესიო წიგნისა და საღმრთო წერილის მხედ-ულად დასტ ბეჭა შეახმენს თუ არა ხალხს სარწმენოებ-ის ცოდნა-ს?

9, სასოფლო საეკლესიო-სამრეკლო და სამინისტრო სკოლებს მოემატებათ პატ-ვი თუ არ, რომ მოსწავლენი წლის თავზე საეკლ-სიო წიგნების კითხვას მე-ძლებენ ეკლესიებში?

10, გაძლერდება თუ გაიაფდება საზოგად-დ ქართული წიგნები და კერძოდ საეკლესიო წიგ-ნები ხუცური უარეოფით?

11, საზოგადოდ ქ-რთულს მწიგნობრობისა და კერძოდ ეკლესიის მოსამსახურეთა მიერ მოგ-ლეობის შესრულების საქმ-ზედ იქონ-ებს თუ არა კეთ-ლს გავლენა-ს ხუცურის უარეოფა?

12, ისტორია საქართველოს ეკლესიისა გვარწმენებს თე არა, რომ ხუცურ-ს უარ-ყოფ-ა რნავთირს მწკ-ლებლობას არ გამოიწვევს?

და 13, დრო არის თე არ ხუცური, მთ-გრობის თანხმობით, ურეოთ, მომავალში ახლად განწესებულ მეკვლ-ებს მხედრულად ნოვთხოოოთ კ-ითხვა ცოდნა და ეკლ-სიებში ნელ-ნელ-ი შევცვალოთ ხუცური წ-გნები მხედრულით?

სხვა საერო და სასულიერო გამოცემთა რედაქტორებს ც ვთხოვ. რომ ეს წერილი გადაბეჭდონ.*)

ადრესი, რომელიც მიართვეს კავკასიის ქრთ-ველობამ კავკასიის ეპისკოპოსს.

ყოველად უსამღვდელესო მეუფეო,
მოაწყალეო მთავარ მწყემსო და მამაო!

განგებითა ღვთისათა, ნებითა თვით უპყრობელ-ლესის ხელმწიფისა და ურუსეთის ეკალესიის უფწმიდესის მთავრობის დადგენილებითა 1893 წელიდგან თქვენ ჩაგბარდათ კავკასის ეპარქია. დიდად სამძიმო და სანაღვლო იყო თქვენთვის განშორება იმ სამწყსოსაგან და გარშემორტყმულ მოღვაწეთაგან, რომელთა შორის გაატარეთ 18 წელი ძვირფასის სამშობლოს და მართლ-მადიდებელის ეკალესიის სასარგებლოდ ფრიად ნაყოფიერ შრომაში. ალტაიისა და კირგიზის მხარეს გამოთხოვების დროს, როცა შორდებოდით ერთგულ თანა-მოღვაწეებს და სამწყსოს, თქვენი მეუფებს მოიცვა შემდეგმა ფიქრებმა: «არ ვიცი, რა მომელის ახალს ასპარეზზედ, აქედგან შორეულს მხარეში კავკასიონის მთებშია», მაგრამ მშვიდად ჰსასოებდით ყოველად მოწყალის უზენაესისადმი. მეფეთა მეფე, რომელზედაც დამოკიდებულია ყველა ადამიანის მომავალი ბედი, თუ უბედობა, ყოველთვის სიფრთხილით იფარავს ზეგარდმო მადლით ცხებულს და ღვთიურის ნიჭით დაჯილდოებულს ადამიანს. ყოველად უსამღვდელესო მეუფეო, უზენაესს არსებას თქვენც დაუჯილდოებიხართ იმ ვიათის თვისებით—ამოძრაოთ ხალხის გული და ჰმართოთ საქმენი მათნი სასურველად. ამის გამო, თქვენო მეუფეაო, ახალ სამწყსოშიაც ძალიან მალე დაიმსახურეთ საზოგადო პირუთვნელი სიყვარული და მისწრაფება თქვენდამი მთელის სამწყსოისა ნამ-

*) ჩვენს აზრს ამ კითხვის შესახებ შემდეგ გამოვთქვამთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

Სოფ. ᲒᲝᲠᲒᲘᲢᲘᲡᲯᲘᲡ.

15-ს აგვისტოს, ყოველად წმ. ღვთის მშობლის მიძინების დღეს, სოფ. ᲒᲝᲠᲒᲘᲢᲘᲡᲯᲘᲡ იციან დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაფარის, რომლებშიაც ზოგჯერ მლოცავი ხალხის $^1/_2$ ნაწილიც ძლიან მოთავსდება!..

ეკლესია, სამრეკლო და «საბჭო» სამივე თლილი ქვით არის აგებული; ქვა უზიდნიათ სამრეკლის მხრით სოფ. ფაშეტიდან მთა-მთა, რომლის კვალი დღესაც მოჩანს. სამრეკლოზე დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრით არის დახატული ერთს ქვაზე ყმაწვილის სახე, რომელსაც ხელში წყლის ჭიქაველი უჭირავს; ხალხის სიტყვიერი გარდმოცემა გვაუწყებს, რომ ეს ყმაწვილი მწყემსი ყოფილა ცხვართა და ხსენებული ეკლესიის შენების დროს ყოველთვის იქ ყოფილა ეკლესიის მახლობლად თავის ცხვრით და ერთის წყაროდან კალატოზებისათვის წყალი ყოველთვის უსასყიდლოდ უზიდნია და ან წყაროს, საიდანაც ხსენებული მწყემსი წყალს ეზიდებოდა, დღესაც «კალატოზების» წყაროს ეძახის ხალხი. როდესაც დაუსრულებიათ ეკლესიის შენება, მაშინ მწყემსისთვის უკითხავს ხალხს, თუ რითი დაჯილდოვონ ხსენებული მწყემსი მთელი იმ ხნის განმავლობაში წყლის ზიდვისათვის. მწყემსს გამოუცხადებია, რომ სოფ. გერგეტის მცხოვრებთ ყოველ წელს ჭშ. აღდგომა დღეს, ნიშნად მისი მოგონებისა, რიგით კომლზე თითო ქადა გამოაცხონ, შემდეგ დასტრან და მის ტოლ ყმაწვილებს დაურიგონ ხოლმეო...

მხატვრობა ეკლესიისა მეტად მშვენიერია. სხვათა შორის, ეკლესიას თავზე ჰქონია ოთხსავე მხარეს დახატული დიდრონნი მოხეული რქებით არკამელები, რომელთაგან დღემდე მხოლოდ ორიღა დარჩენილა, დანარჩენი ორი არკამელის სახეები კი ალარსად ჩანან. ამ 30 წლის წინათ მეხი დაეცა აქ, მოჰკლა ამ ეკლესიის ყარაული იოსებ სუჯაშვილი, დააზიანა სამრეკლოს სახურავი სამხრეთის მხრით, ეოტათ ეკლესიის სახურავიც შეარყია ერთ ალაგას და ხალხის ვარდმოცემით ზემოთ ნათქვამი ორი არკამელის სახეც მაშინ გადმოუყრია მეხის დაცემას; საღლაცავად მოსული ხალხის წარწერებით ეკლესიის კედლები მეტად უშნოთ აჭრელებულია ფერად-ფერადის საღებავებით, ზოგიერთებს, სხვათა შორის, სატეხითაც კი უთხრიათ ქვები და მით უფრო დაემახინჯებიათ ძველებურის ხელოვნებითი ნაკეთები ქვები. აწ მოფი მღვდელი ბლაღოჩინი მ. ა. დ—ძე თუმცა სასტიკად უკრძალავს საღლაცავად მოსულ ხალხს ეკლესიის კედლებზე წერას, მაგრამ როცა მღვდელს არ ხედავს ხალხი, მაშინ იგი თავისას არ იშლის.

კარგს იზამდა მ. ბლაღოჩინი ა. დ—ძე, რომ სოფელს ჩაგონებდეს საღლაცავად მოსულ ხალხთათვის თავშესაფარის აშენების მიუცილებელ საჭიროებას და იქვე დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრით ეკლესიის გალავნის ძირობაზე ფიცრით დროებითი თავშესაფარ სარაის ჩაეფარებინებდეს, რასაც არც ბევრი შრომა უნდა და არც დიდი ფული.

გ. ბედოშვილი.

მეგობარს.

მინდა შენ გითხრა, ძმობილო,
მე სავალალო დარდები,
აგებ მით შევიმსუბუქო
მე სევდა გულში ნადები.

ნათქვამი არის, რომ ჭმუნვა
წარმოთქმით განიკურნისო,
მისთვის მოგმართავ—მგრძნობი ხარ
ჩემგან ქვემორე თქმულისო!

დიდი ხანია მას აქეთ
ვერ ვხედავ, ვერ მიპოვნია,
ჩემთვის ჯვარცმულის სიტყვები—
მამა პაპათა ღონეა.

არც მღირსებია მით შეება
დამატკბობელი გულისა,
იმედი მამხნეებელი,
მომფენი სიხარულისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ მეტყვის: მოდი, ძმობილო,
მითხარო შენი დარდები,
ვინღა გამიწვდენს ძმურად ხელს,
ვინ მიხსნის? ვის ვეწვადები?

მოსამართლესთან მივფორთხდე,
იგი ხომ მარად მრისხანეს,
და რადგან ენა არ მიჭრის
აღარ მესმისო მიბრძანებს.

ვიშიშვი კიდეც გამიწყრეს,
დამიწყოს ლანძღვა, ყვედრება,
რომ უმსახურო მთხოვნელის
მან არ ისმინოს ვედრება.

მკურნალს ხომ უმსახურობით
ან კი რათ ვეტყვი გამკურნოს,
თუმცა მაშინაც ვიშიშვი—
ვაჰ თუ არ იმეცადინოს.

მასწავლებელსაც უყურებ,
არღვევს პროგრამის წესებსო,
და სულ უბრალოდ, უმიზნოდ,
ყმაწვილს სცემს და აკენესებსო.

მისთვის რომ უმსახურობით
გულ, მოსდის და ჯავრდება,
მისთვის სიმართლეს უკარგავს,
ბავშის ცოდვაში ვარდება.—

ეგ მოწონაევ თაობაც,
ეგე მათენი ბნელისო,
ეგ „მაშრალი და ტვირთ მძიმე“,
ნბაძავი კაცთა მხსნელისო,

თურმე, როგორც ლჩანს, ამათაც
შეპარებიათ ღვარძლია,
დაუვიწყნიათ სიმართლე—
მათი საუნჯე—განძია!

ჰგავს ესენიცა გულისობენ.
გვიწყრებიან უმსახურებსო,
და მათი წმიდა მიზნისთვის
აღარც კი ანძრევს ყურებსო.

ხალხსა, ხომ რაღა! ერთობითი
განერყვნა ზნე და წესია,
გააკბირშაკადა, დღითი დღე
შეიქმნა უარესია.

მლიქვნელობა და ლაქუცი
ეშმაკის მოცქიულისა,
თვალს უკან გაუტანლობა
საზრდოა მათის სულისა.

ძმობა და ნათესაობა,
მოყვასური წმიდა ვალია,
აღგვალა მათის გულიდან
ღიადი მცნების კვალია. .

მაშ სად არს მამა პაპური
ზნე და თვისება ჩვეული,
სად არის მისი ნაყოფი—
სისხლ-ხორცი მშობლის სეული,

სად არის მცნება მაცხოვრის
კაცთათვის დაწესებული,
სად არის მისი სიტყვები
სახელ-მძღვანელოდ მცნებული.

სად არის „ეიყვარებოდეთ
ერთის თვისებით ძმობითა“,
სად არის: «ეიდვარებდეთ
ეშმარიტებას გრძნობითა“.

აი ძმობილო, ეს არის
ის სავალალო დარდები,
ეს არის სევდა უკურნო,
ჩემს გულში მწარედ ნადები.

თ-დი როსტომ (გუძა) ლევანის ძე ჩიკოანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, გადაწყვეტილია მიიღონ სემინარიელები აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, თუ ისინი რომელსამე ახალ ენაში ეგზამენს მოიხდიან. ეს კითხვა აღუძრავს უწყ. სინოდის ობერპროკურორის ამხანაგს ბ. საბლერს საერო განათლების სამინისტროში, სამინისტროს ეს წინადადება პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოსათვის წარუდგენია, რომელსაც კიდეც დაუდგენია ზემო აღნიშნული გადაწყვეტილება. ეს ამბავი, დასძენს ცნობის ფურცელი, დიდად საყურადღებოა ჩვენებურ სემინარიელთათვისო.

ნეტავი რა ნახა საყურადღებო ცნობის ფურცელმა ამ განკარგულებაში? სემინარიელების უნივერსიტეტში მიღება ხომ გადაწყვეტილი საქმე იყო. თუ ეხლა შეშალეს ეს განკარგულება და მარტო აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე მიიღეს იგინი, ეს ძლიერ საამურარი იქნება.

—

სახალხო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რეალურ სასწავლებლებში გაფართოებულ იქმნეს ქიმიის სწავლება და საველდებულო შეიქნეს ინგლისური ენის სწავლება.

—

უწყ. სინოდთან არსებულ სასწავლებელთა საბჭოს უკანასკნელ ათი წლის ვანმავლობაში სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის გადაუდგია სულ 7,022,286 ცალი წიგნი 2.062,658 მანეთისა; აქედგან 3,500,000 ცალი წიგნი 537,325 მანეთისა უსასყიდლოდ.

ამას წინეთ ჩვენს მკითხველებს ვაუწყეთ, რომ პატარა ტანის სახარება იბეჭდება-თქო. ეს სახარება უკვე გამოვიდა საბეჭდვიდან და გარდაეცა სინოდალნი კანტორას, საიდანაც მსურველნი შეუძლიათ მოპოვება ამ წიგნისა. ამ პატარა ტანის სახარების უმეტესნებლობა საგრძნობელი იყო ჩვენი სამღვდელოებისათვის. ეკკლესიის გარეშე ხშირად მღვდლისათვის საჭირო იყო ხოლმე სახარება და ამიტომ ყოველი საჭიროების დროს ტრაპეზზედ დასაღებელი დიდი სახარება უნდა ეტარებია კაცს. დღეს კი ეს ნაკლი მოისპო. ეკლეციის საეპარქიო საეკლესიო ნივთების საწყობი ამ მცირე ხანში მოიპო�ds ამ წიგნებს გასასყიდად. ეს პატარა ტანის სახარება ზვერინრად იქნება დაკაზმული და მოჭედილი.

—

ქ. ქუთაისში ელექტრონის რკინის გზის გაკეთება უკვე გადაწყდა. ამ გზის გაკეთება აიღო ინტენერრა მიხაილოვმა 45 წლის ვადით. იმედია, რომ ბ. მიხაილოვი მალე შეუდგება ამ რკინის გზის კეთებას.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და კეთილმზრუნველობაზე

ოჯახის გერა

მამა კაცი და დედაკაცი.

I.

(რუსულიდან)

ქადაგებები.

გაგრძელება *.

წინასწარმეტყველმა ნათინმა გრძნობით სავსე სიტყვებში, რომლებითაც გამოაფხიზლა მიძინებული სინიდისი, ეშმაკის გამხრწნელი რჩევით შებმული, მეფე დავითისა, სთქვა: „ერთ ქალაქში სცხოვრობდა ორი კაცი,—მდიდარი ღ ღარიბი. მდიდარს ურიცხვი ჯოგი ყოფდა, ღარიბს კი არაფერი გააჩდა, გარდა ერთად ერთი ცხვარისა, რომელიც პატარა იყოდა, ასაზრდოდა და გამოზარდა ერთად თავის შვილებთან. მასთან სჭამდა და სმიდა. მასთან ეძინა. ერთი სიტყვით ქალი-შვილივით მიიჩნდა“. წინასწარმეტყველი უთუოდ იმიტომ ხმარობს ამ უკანასკნელ სიტყვას, რომ უფრო მკაფიოდ დაასურათოს მშობლიური გრძნობა სიყვარულისა და ერთგულებისა ქალიშვილისადმი.

ქალი წარმოადგენს ოჯახის შუაგულს, რომელზედაც მიპყრობილია მთელი სახლობის ყურადღება. მართალია, ქალიშვილი გათხოვების შემდეგ სხვა ოჯახში გადადის, მაგრამ მანამდის კი დედ-მამის სრულ ზედ-გაფლენის ქვეშაა. უმეტესი ნაწილი ქალების, ახლაც, როდესაც ქალების სწავლა-აღზრდის საქმე გაფართოებულია, ოჯახში ღებულობს უმთავრეს ზნეობრივსა და სარწმუნოებრივ აღზრდას.

*) იხილე „მწყემსი“ № 21, 1898 წ.

ვაკების მდგომარეობა სხვა ნაირია... როდესაც რვა თუ ცხრა წლის გახდება, სკოლაში აბარებენ, ამიტომ ოჯახში ის მხოლოდ დღესასწაულებზეა. უმეტეს ნაწილს თვისი ცხოვრებისა ოჯახს გარეშე ატარებს, სამს მეოთხედს თითოეული წლისა მშობლებზედ მოპორებული იმყოფება. მაშასადამე მათი უმთავრესი კაეშარი სულდგმულობს მოწყრა-მოწყრაზი, რასაც ამაწვილები მოკლე ფრაზებით ხატავენ.

ქალები კი სულ სხვის წარმოადგენენ. ამათ მაშინ აბარებენ სკოლაში, როდესაც სრული წლოვანი ხდებიან, ამიტომ ვაკებთან შედარებით უფრო ცოტა ხანს რჩებიან იქ. მშობლების კერა, რომელიც ხშირად ერთად-ერთი ნათესაყოველითა მათთვის, უპირველესი ადგილია მათი ზნეობრივი, გონებრივი და სულიერი ცხოვრებისა, და დარწმუნდით, რომ ეს მით უფრო ხშირი მოცლენაა, რაც ჩვენ გვეჩვენება ვაკებთან შედარებით. მშობლები გამოცდილებით გვარწმუნებენ, რომ ქალების მიერ მოწყრილი წერილები სასწაულებლიდან უფრო გრძნობით სავსე, სიყვარულიანი არიან ვაკების მიერ მოწერილ წერილებთან შედარებითო; ქალები უფრო მეტად მოსიყვარულენი და მშობლების მორჩილნი არიანო.

ამბობენ, გათხოვების შემდეგ უფრო მეტად უგრილდებათ გული მშობლებზე ქალებს, ვინემ ვაკებსაო. მართლაც ეს აზრი დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს მოგვაგონებს: «ისმინე, ასული და იხილე და მოყავ ყური შენი, და დაივიწყე ერი შენი, და სახლი მამისა შენისა და გულნან უთქვას მეუფეს სიკეთისა შენისა, რამეთუ იგი თავადი არს უფალი ღმერთი შენი და თაყვანი სცე მას". ხოლო მე მრწამს და ვამტკიცებ კიდევაც, რომ ქალები გათხოვების შემდეგ უფრო ნაკლებად ივიწყებენ მშობლებს, ვინემ დაქორწინებული ვაკები. ხოლო თუ, სამწუხაროდ, ამ ორ დაკავშირებულ სახლობათა შორის უსიამოვნება ჩამოვარდა, მაშინ, რასაკვირველია, ქალი ძალა-უნებურად, რაც უნდა დიდი სიყვარული უღვიოდეს გულში მშობლებისადმი, მაინც კერის მხარეს იჭერს და არა მშობლებისას. ამას გვიმტკიცებენ ისტორიული ფაქტები. დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მეთერთმეტე თავში სწერია: «ასული სამხრეთის მეფისა მოვიდეს ჩრდილოოთის მეფის წინაშე, რათა დაამყაროს მათ შორის წესიერი დამოკიდებულებაო». ამ წინასწარმეტყველებით უნდა ვიგულისხმოთ ეგვიპტის დედოფლის ვერენიკის, მეფე პტოლომეი II ასულის, დაქორწინება მეფე ანტიოქეს III-ზე, რომელიც სელევკიდების დინასტიის ეკუთვნოდა. მაგრამ ამ დაქორწინებას, როგორც ანტიოხ დიდის ასულს, კლეოპატრას დაქორწინებას შემეთხვა პტოლომეი ეპიფანეზე, და ამ ორ მოწინააღმდეგე მეფეთა შორის შედგომპინაშის დამყარების წინ ელოგბოდა პირადი ინტერესები ორი დედუფლისა.

ისტორია გვიმტკიცებს, რომ ქალები პოლიტიკური დამოკიდებულების დროს ქმრის მხარეს იქერენ და არა მშობლებისას. მაგალითად ელიზავეტა კლეიპოლ როიალისტების მხარე ეჭირა და სასტიკად კიცხავდა მამას კარლოს I დასჯისათვის.

საბედნიეროდ ამ გვარი შეტაკება პირადი ინტერესებისა იშვიათია და უმეტეს ნაწილად გათხოვილი ქალები თავიანთი ქმრითა და შვილებით უძვირფასესი სტუმრები არიან თავიანთი მშობლების ოჯახში. ინგლისელი პოეტი ტენნი სონი მშვენივრად ასურათებს მის ლექსში «სახსოვრად» იმ აზრს, რომ გამყრელი სიკედილია, ხოლო გათხოვება ქალისა კი სიხარულს ჰპადებს ნათესავებთა გულშია.

ამ რიგად, თუმცა ქალები თხოვდებიან, მაგრამ მაინც იმდენადვე დაახლოვებულ-დაკავშირებული რჩებიან მშობლებთან, რამდენადაც გათხოვებამდის იყვენ.

მაგრამ საქმე ის არის, რამდენად ნაყოფიერი და სასარგებლოა გაუთხოვარი ქალის ცხოვრება ოჯახში? რა დიდი იმედია ის მოხუცებული მამისათვის, რომელსაც უმჩატებს ცხოვრებას, უქარვებს ჭირსა და ვარამს, ცხოვრების სიმაკარეს. უფრო მეტი ფას-დაუდებელი ნუგეშია მოხუცებული დედისათვის, რომლის მაგიერობას ოჯახში თითონ კისრულობს, უკლის მოხუცს, უტკბობს ცხოვრებას, ვინაიდან დიდად დავალებულია მისგანაც.

გაუსაკუთრებით სერიოზულია ქალის მნიშვნელობა ქვრივი მამის ან დედის ოჯახში. აქ ის ყველაფერია, თავია ოჯახის ყველა ინტერესებისა. ჩვენ მოვიყვანთ აქ შესანიშნავ სიტყვას ბერანჯისას, რომელიც მან უძღვნა გაუთხოვარი ქალის საფლავს: «მას არ გამოუცდია დედობა, მაგრამ ბევრი ეაბუკნი, რომელთაც უგემენიათ მისი დედობრივი ალერსი, ადიდებენ მას". ეს «ზედ წარწერა» ამტკიცებს იმ ცრუ აზრს, ვითომც გაუთხოვარი ქალის ცხოვრება უმნიშვნელო და უსარგებლო იყვეს. პირიქით გაუთხოვარ ქალს შეუძლია ძვირფასი მეგობ-

ეროვნული

რობა გაუწიოს როგორც მშობლებს, ისე ძმებს, დებს, პატარა ძმის წულებს. ოჯახში მას ფართო ასპარეზი აქვს მოღვაწეობისა და სამსახურისა; ის უძვირფასესი წევრი გახდება ოჯახისა.

თუ კი ღვთის მადლი და ღვთაებრივი გულმოწყალეობა პატარაობიდანვე ენერგება და უღვივე გულის სიღრმეში ქალს, გონიერება და სარწმუნოებრივი სიმტკიცეე ერთად უშუქდებიან და უმყარდებიან ძის სამგალითო და სათნოებიან ცხოვრებაში, მაშინ ვიწრო ოჯახის სფერაშიაც კეთილშობილური მისი ზედ-გავლენა. ამ გვარი კეთილ-შობილური მოქმედების მოსახვეჭად მოუკლებელი საჭიროებას არ შეადგენს სწავლა: სრულიად საკმარისია ბუნებრივი სიმკვირცხლე, რომელშიაც ამავე დროს მოთავსებულია გამოუთქმელი მადლი ოჯახისათვის — მიმზიდველობა და კეთილშობილება. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მოსამსახურეს განსაკუთრებით უყვარს ერთი რომელიმე წევრი ოჯახისა. ამიტომ მის გულში მუდამ ის ფიქრი ტრიალებს, რომ როგორმე ამ ქალს ვასიამოვნო და სამსახური გაუწიო�о.

მშობლებისათვის ამ გვარი ქალიშვილის მოსი ყვარული გული იგივეა, რაც ცვარი გამოგვალული და დამწვარი მიწისათვის. დანარჩენნი დები, მისი ზედგავლენით უფრო ჩკვიანდებიან, გონიერდებიან და ბედნიერდებიან. უფრო უკეთესად მოქმედებს ამ გვარი ქალი ძმების ხასიათზე და მიმართულებაზე. როგორც ისტორია, ისე ბელლეტრისტიკაც ბევრ მაგალითებს გვისურათ-ხატებენ დების მარგებლობისას, ბევრ ძმას აუჩენია დები მესაიდუმლეთ, მათთვის გაუმხელიათ — გაუმეცადენებიათ თავიანთი დაფარული საიდუმლოები, რომლებსაც ვერ უმხელდენ შმობლებს, ბევრ დას გადაუჩენია ძმები უბედური შემთხვევისა და ფთარკაცისაგან. გამოჩენილი რომანისტი ქალი ჯორჯ ელიოტი ნათლად გვისურათებს თავის გატაცებულ ერთგულებას ძმისადმი, რომელიც მისი ნორჩი პოეზიის უმთავრეს საგანს შეადგენდა. მისი რომანის «Мельница на флоссѣ»-ს პირველ თავში ამ სიტყვებით აგვიწერს ამ გარემოებას:

„ძალიან ხშირად წარმომიდგება ის დრო, როდესაც ჩვენ ერთად ვიზრდებოდით, როგორც ორი კოკორი ერთ ტოტზე. ძმა ჩემზე უფროსი იყო, დავეჟაცებული პატარა ტანის ვეკაკის წარმოგიდგენდათ შეხედულებით, სიმაღლით არა უმეტეს ოცი დიუიმისა. მე კი დედუფალისებურ პატარა არსება ვიყავი, რომელიც ძალიან ვსცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი ძმას თამაშობაში, ვცდილობდი მასავით დიდროვანნი ნაბიჯები გადამედგა მეც. რომ შეიძლებოდეს ისევ გაყმაწვილება, სწორედ ისეთივე პირობებში ჩადგომასა და ყოფნას ვისურვებდი, რომ ისევ გავწიოთ ისეთივე პატარა და-ძმობაა. მანვე დადგისურათხატა ქალიშვილის მამისადმი ერთგულება. სამაგალითოა მისი გმირის როლლის სიყვარული, ღირსი და ზრუნვა მამაზე. ეს აზრი გაჰყავს ეკონავეტა ბარრეტ-ბროინგსაც და ადელაიდა პროკტერსაც. ეს უკანასკნელი მის პოემაში «Берто» გრძნობით სავსე სურათს გვიხატავს ქალიშვილისას, რომელმაც უარყო პირადი ბედნიერება ძმის ერთგულებისა გამო მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სრულიადაც არ აფასებდა დის ასეთ ერთგულებას, სიყვარულს, არ ახსოვდა, რომ დავალებული იყო მისგან; დასასრულ შეიყვარა ვიღაც ქალი, რომელიც უკაბედად გაიცნო, და მთლად გაეყო დას, რომელსაც ამისათვის წილად არგუნა ობლური და უბალისო ცხოვრება.

სამეცნიერო გამოკვლევათა ისტორიაში დაცულია მოთხრობა ერთი ქალის «ეაროლინ გერშელის» შესახებ, რომელიც თურმე დიდ ხანს ეხმარებოდა და შველიდა სამეცნიერო ბუშაობაში თავის ძმას, ვილიამ გერშელს. ქალი არ ისვენებდა მაშინაც, როდესაც ძმა სარკეებს წმიდდა და შემდგომ გამოკვლევათა მოსახდენად. ამ ქალის სიტყვებიდან სჩანს, რომ ძმას თურმე მუშაობის დროს მთლად ავიწყდებოდა საჭმელი, და ამიტომ ის ხელით აკმეფდა და ასაზრდოებდა თურმე. ამ რიგად ქალი მიუცილებელად საჭირო გახდა ძმისათვის მუშაობის დროს. მთელ ღამეებს ათენებდა ძმასთან, არამც თუ საათს, ადევნებდა თვალ-ყურს და შენიშნავს სწერდა ძმის მიერ გამოკვლევის შესახებ, არამედ მთელ ანგარიშებსაც ადგენდა. 1785 ან 1787 წლამდე შვიდი ვარსკვლავი აღმოაჩინა, ხუთი მაოგანის აღმოჩენა საკუთრად მას ეკუთვნის. შესაბრწყვინა ამ ქალის უანგარო ერთგულება. მისი თანამედროვე ქალი დარბლე სწერს მის შესახებ: „ტანად ძალიან პატარა იყო, მეტის მეტი წყნარი, მშვიდი, ჭკვიანი და მოსიყვარულეო».

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. შეუძლია თუ არა მღვდელს ღამის ყარაულებს ვალად დაუდგინოს, რომ თითო საათის განმავლობაში ერთხელ დარეკონ ზარით?

მაგება. შეუძლია და ეკკლესიის ყარაული ვალდებულიც არის, რომ თითო საათში ერთხელ დარეკოს და მით დაუმტკიცოს ყველას, რომ იგი ყარაულობს ეკკლესიას და არ ძინავს.

კითხვა. სხვა ქრისტიანეთა სარწმუნოების გარდაცვალებულნი, რომელნიც დაიმარხენ მარილ-მადიდებელი მღვდლისაგან «წმიდათა ღმერთოს» გალობით საფლავამდის მისვენების დროს, შეიძლება თუ არა მეტრიკაში ჩაიწერონ და მოთხოვნის დროს გამოწერილობა მიეცესთ ამ გარდაცვალებულთა პირისეფლებს?

მაგება. სხვა სარწმუნოების აღმსარებელნი, რომელნიც დასაფლავებულ იქმნენ მარილ-მადიდებელი მღვდლის მიერ «წმიდათა ღმერთოს» გალობით, შეიძლება ჩაწერილ იქმნენ გარდაცვალებულთა მეტრიკის წიგნში და მასთან ნაჩვენენი უნდა იქნეს ისიც, თუ რა წესით დასაფლავდენ გარდაცვალებულნი. თუ ასეთ პირთა დასაფლავება ხშირია რომელიმე ადგილს, სადაც სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა მღვდელი არ იშოვება, მაშინ მარილ-მადიდებელ კრებულს უნდა აქვნდეს კერძო, ზონარ-გაყრილი რეული ხსენებულ გარდაცვალებულთა ჩასაწერად. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ორივე ჩაწერა აუცილებლად საჭიროა, ვინაიდგან სხვა სარწმუნოების აღმსარებლის სიკვდილისა და დასაფლავების შესახებ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ცნობები, როგორც გარეშე პირთაგან, ისე მთავრობის დაწესებულებათაგან.

კითხვა. საჭიროა თუ არა, რომ ჯვარისწერაზე გარშემოვლის დროს მღვდელს, რომელიც ჯვრით მიუძღვის წინ ჯვარ დაწერილთ, მედგიონე ანუ სხვა ვინმე სასანთლით გაუძღვეს წინ?

მაგება. ალბად ზოგიერთ ადგილს ადგილობრივნი ჩვეულების ძალით ჯვარის წერაზე გარშემოვლის დროს ხმარობენ წმ. ჯვარს და სასანთლეს, თორემ ამის შესახებ არასფერი არ წერია საეკკლესიო წესდებათა შინა, ამიტომ არც საჭიროა ვიხმაროთ ხსენებულ დროს წმ. ჯვარი და სასანთლე.

კითხვა. საჭიროა თუ არა, რომ მღვდელმა მაინდამაინც მოთხოვოს მაზიარებელს, რომ წმ. ზიარების მიღების დროს თვითონ წაიკითხოს ლოცვები, თუ თვითონ მღვდელმა უნდა წაიკითხოს ეს ლოცვები?

მაგება. ზიარების წინ დადგენილი ლოცვები უნდა წაიკითხოს თვით მღვდელმა, რომელმანც მხოლოდ უნდა მოითხოვოს, რომ წმ. ზიარების მისაღებად გამზადებულთ მღვდელთან ერთად იმეორონ ლოცვების სიტყვები.

კითხვა. შეუძლიათ თუ არა გლეხებს გააუქმონ თავიანთი დადგენილობა, რომელიც ორმოც-დათი წლის წინად შესრულებულ იქმნა, რომ თავიანთ კრებულს ყოველ წლობით 600 მანეთი აძლიონ ჯამაგრად, ანუ ეს დანიშნული ფულის რაოდენობა ნახევარზე დაიყვანონ?

მაგება. თუმცა არ არის კანონი, რომლის ძალითაც შეგვეძლოს აუკრძალოთ გლეხებს მზგავსი დადგენილობის მოხდენა, მაგრამ ერთი რომ მათი ახალი დადგენილობა შესახებ მისა, რომ ერთხელ დანიშნული ჯამაგირი მოუსპონ ანუ შემცირონ კრებულს, დამტკიცებულ არ იქნება ადგილობრივი მთავრობისაგან, და მეორედ ეპარქიალურ მთავრობას შეუძლია გამოუცხადოს მრევლს, რომ ვინაიდგან მათ ჯამაგირი მოუსპეს თავიანთ კრებულს, ამიტომ მათ ალარ ეყოლებათ საკუთარი კრებული და მიწერილნი იქნებიან მახლობელ სამრევლოზე, ვინაიდგან არ შეუძლიათ საკუთარი კრებულის შენახვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეპარქიალური მთავრობის მზგავსი განკარგულება დაადგენენ გლეხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები:

I.

მ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მოგვეცეთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მწყემსის» საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ოგრეთვე ჩემმა მრეველმა რწმუნებულის ჩემდამო სოფლის მეორე ხეთის მთავარ ანგელოზის ეკლესიის შემომწირველთა: აზ. მიხაილ ვახთას ძეს ქორთუას, რომელმაც შემოსწირა ამ ზემოხსენებულ ეკლესიასის ერთი ზარა წონით 5 ფუთ. და 38 გრ., ღირებული 150 მანეთად; აზ. კოდრატე ნიკოლას ძე ნაუკეპისა, რომელმაც შემოსწირა ერთი რწყეული ვეცრგვინი, ღირებული 5 მანეთად, და ამავე ეკლესიის მედავითნეს თეოდორე ქირიას, რომელმაც შემოსწირა ერთი ჯვარი ტრაპეზზედ სახმარებელი, ღირებული 3 მანეთად.

მღ. ოქროპირ ჭირია

II.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი ჟურნალის „მწყემსის“ საშუალებით მადლობა უძღვნა იმ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულ უძღეურის მაცხოვრის ეკლესიას შესწირეს ფუღები და სხვა და-სხვა საეკლესიო ნივთები. აი სია შემომწირველთა: ნინო ბენიძის ასულმა ერთი ბარძიმი, ღირებული 21 მან. 40 კ., ტუფა ეფრემიძის მქვრივამ ერთი გარდამახსნა, ღირებული 15 მან., სუნთა ეფრემიძის მეუღლემ ერთი საიაზმე, ღირებული 8 მან., როსტომ ივანეს ძემ კაკაურიძემ ერთი თუთბრის ტაშტი, ღირებული 2 მ., ისაკე კაკაურიძემ ერთი ხატი და კერთხევანი, ღირებული 3 მან., ლაზარე კვერნაძემ ერთი კანკელი, ღირებული 1 მ. აფხაზეთის მღვდელმა იელიანე ოსიძემ დაფარნები ფარჩისა, ღირ. 7 მ, დესპინა ეფრემიძის მეუღლამ აბრეშუმის ხელსახოცი, ღირ. 1 მან., მღვ. ნესტორ გიორგაძემ ერთი ლახვარი, ღირ. 1 მან. გერასიმე ეფრემიძემ ღურბელი ბარძიმისა, ღირ. 60 კ.

ამ საქელ-მოქმედო საქმეში დიდი გულ-მტკივნეულება გამოიჩინა საქალაქო გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მ. ალექსი გიორგაძემ, რომლის შეამდგომლობით აღნიშნულმა გიმნაზიამ უძღვნა უძღეურის ეკლესიასის შემდეგი ნივთები: ერთი ოდიკი აბრეშუმისა, ღირებული 3 მან., ფილონი, ოლარი სამკლავები და სარტყელი, ღირ. 10 მ., ტრაპეზის და სამკვეთლოს შესამოსელი, ღირ. 5 მ. ერთი ჯვარი, ღირ. 3 მ, ერთი ხალჩა ხავერდისა, ღირ. 5 მან. ოთხი ხატი სხვა-და-სხვა მხატრობისა, ღირებული 4 მ., ერთი ემბაზი ქუსტისა, ღირებული 4 მან., ერთი წყველი ქუსტის სანთლები, ღირ. 5 მ., ერთი სურა ახალის ვერცხლისა, ღირ. 2 მ., გარდა ამისა 1897 წელსა სულის წმიდის მოფენის დღეს მლოცველებში ჩემ მიერ შეკრებილ იქმნა 20 მ., რომლითაც სყიდულარს კამარა ახალის ვერცხლისა და ტაკუკი და ლანგერი წმიდა ვერცხლისა.

მღ. უძღეური მაც. ეკ. ლუკა ჯიშკარიანი.

III.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო მცხოვრებს, რწმუნებულს ჩემდამო ბაღდადის ფერისცვალების ეკლესიის სამრეველოში, კოსტანტინე გიორგის ძე მშველიძეს, რომელმაც შემოსწირა აღნიშნულ ეკლესიასის ერთი რწყეული კარგი ბაირაღი, თავის მოწყალებითა, ღირებული არა ნაკლებ ოცდა ხუთმეტი მანეთისა.

მღ. იაკობ ბორჩხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ოჩ ქვეყნულ გაზეთებთა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2»
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3»

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვარაღაში**, ისეთვეთ **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, **ფოთში** — დეკანოზ მ. გრიგოლ მაკაროვთან; **სახერეთში**—ყარაბ ჩიქიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ბახტაძეთან; **ახალსენაკში** —ბლაგოჩინ მ. ა ნ ტ ო ნ ი ს კ ლ ინ დარიშეილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიანი გაზეთები დავთმობათ მთელის წლით ორიეე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქტიას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ბანანაშვილ ებს სახლებში და **ყვარაღაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშეტსაცავრები ჟურნალის დამბარეს შეიძლებთ ამ ადრესით: Въ Кварилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია სიჩუქრად **ხასულის ღვთის-მეტყველის** ფოტოგრაფიული **ნასახტი.** და ჩვენი მოდგაწეის ბატონის

„აკაკის სურათი,“

ბრესტლოს ქალაქიდან დამეტდილი.

ზემოაღნიშნულ სიჩუქრებს ხელის:მოსწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისათანავე.

ჩვენი **«ქრმეული»** მეორე წელიწადში გადადგა. ამ მეორე წლის პირველი ნომერი ენკენისთვეში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჩვენის ტურნალისეე სასაკეთოდ განზრახ შეეგიჩერეთ გამოცემა რამდენიმე თვით და მხოლოდ იანვრიდან განვაგრძეთ გამოცემის და წელიწადიეე მომავალი 1899 წ. იანვრიდან დაიწყება. დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს **«ქრეტელში»**, დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე და უკეთესსა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდეც აღვეთქვეს დახმარება. ესაი იგივე დარჩება: გაგზავნით ფოსტით **7**—მან., ადგილობრივ გაუგზავნელად —**6** მ., ნახევარის წლით **4** მან., თვიურად და კერძო №-რი— 60 კაპ.

რედაქცია გადატანილ იქნება დ. ზესტაფონში (ყვირილაში) ღამბაშიძის სახლებში.

კერძო განცხადება ყოველ საგაზე მიიღება ჩვენულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

დასასრულ მადლობას ვეუძღვნი მათ, ვინც წარსულ წელში გვეხმარებოდა ჯა, იმედია, რომ არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას.

მომავალი წლის **ხელისმოწერა უკვე დაწყებულია.**

ადრესი გამომწერელებისათვის: М Квирилы. Редакція «Кребуали» და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.

«ქრეტელის» რედაქტორი და გამომცემელი

ა კ ა კ ი.

ი ნ ყ ი დ ე ბ ა

შკოლებისათვის სახელმძღვანელო

✦✦ ქართულ-რუსული წიგნები, ✦✦

რ ვ ე უ ლ ე ბ ი და სხ.

ამასთან ვეღებულობ ყოველგვარ წიგნებს გასაყიდლათ საკმისიოთ.

აქვე იყიდება «გალანტერეინი» და „ბაკალეინი“ საქონელი. უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, ნუ დასტოვებს ჩემს მაღაზიას უყურადღებოთ.

3 — 3

მეორე გილდის ვაჭარი ქიშვარდი ოქრ. ბუნდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებლებისთვის ᲓᲐ სხვა საკითხები წიგნები,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილისა მიერ.

ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ, ანუ ანბანი და პირველი საკითხები წიგნი, საფო და სამოველო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტი შეტანებული გამოცემა, დამატებული ფერადიანი ხატვა სახელოვანების მიერ. ᲐᲮᲚ გამოცემაში ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ თავში სახალი საკითხები და ᲑᲝᲚᲝᲨᲘ სწერა დედანი, ესე, რომ ამ წიგნის ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ა�or მოუნდებთ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲔ არც ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲔᲚᲐ და არც ᲓᲔᲓᲐᲜᲘᲡ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲚᲘᲪᲔᲓᲔᲥᲛᲘᲡᲐ ᲨᲐᲠᲘᲡᲐ, ᲧᲝᲜᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲐᲒᲠᲘᲗ. ᲐᲛ ᲬᲘᲗᲐᲜ მოწონებულია და ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗᲐ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უფროსების სინოდისაგან... ᲛᲘᲪᲘ ᲔᲠᲗᲘᲗ ᲧᲝᲜᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲨᲘᲗᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ, წიგნი დაეთმობა ᲗᲣᲗ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ, ᲧᲝᲜᲘᲗ 33 კაპ.

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲙᲘᲗᲐᲑᲘ, ანუ საკითხვანი წიგნი, უმტროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემატული სურათებით და საქართველოს ქარტით, დამატებული ᲬᲘᲠᲛᲝ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐᲜᲘ მიერ. ᲨᲘᲜ ᲦᲘᲠᲗᲐ ᲝᲗᲮᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲣᲤᲐᲚᲝᲗᲣᲜᲘ (90 კაპ.). ᲣᲤᲠᲝᲗᲐ ᲔᲡ გამოცემა არ ისყიდება. ᲛᲘᲪᲘ ᲔᲠᲗᲘᲗ ᲧᲝᲜᲘᲗ ᲐᲗᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ, წიგნი დაეთმობა ᲝᲗᲮ ᲐᲗᲐᲡᲐᲛ, ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲪᲐ— ᲗᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ და ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲪᲐ-და ᲐᲗᲐᲡᲐ— ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ. ᲐᲡ წიგნი მოწონებულია სამინისტროსგან, როგორც „ᲫᲘᲛᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ სახელმძღვანელო ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲔᲠᲘᲡ“ და აგრეთვე უფროსების სინოდისაგან.

ᲙᲝᲛᲞᲐᲡᲘ, ანუ ანბანი და პირველი საკითხვანი წიგნი, ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲗᲔᲠᲔ, გამოცემა მერვე, ᲧᲝᲜᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ ნარდათ 8 კაპეიკ.

ᲙᲠᲘᲜᲐ საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეკიბეობიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ᲧᲝᲜᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲔᲮᲔᲚᲘ ᲤᲣᲢᲚᲘᲗᲐᲜ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ, ᲛᲔᲠᲛᲔ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲪᲘᲛᲘᲗ ᲬᲘᲗᲐᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲪᲐᲛᲓᲔ ᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲬᲘᲗᲐᲜ მოწონებულია როგორც საძინისტროსგან, ისე სინოდისაგან.

ᲘᲕᲐᲜᲘᲜᲐ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ? მოთხრობა მოზრდილი უსწავლელებისათვის, მეოთხე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? საყმაწვილო მოთხრობა, ᲧᲝᲜᲘᲗ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ.

ᲐᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ᲐᲠᲗᲘᲗ მეოთხე გამოც. ფ. 10 კ.

ᲛᲘᲠᲘᲛᲝᲜᲐᲗᲘ ᲨᲣᲛᲝᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲰᲝᲞᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲬᲘᲗᲠᲘᲚᲘ დედა-ᲔᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ შეახებ კერძოადამიანის და ძალის ერის ᲪᲮᲝᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐ და ᲬᲐᲠᲛᲝᲢᲔᲑᲘᲡ მიერ, ᲧᲝᲜᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ...

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲜᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ მოთხრობანი, დასურათებულნი, ᲧᲝᲜᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 ко пѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ“ одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго охруга, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомедовано. „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲬᲘᲗᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲧᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲠᲛᲝ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲒᲐᲛᲝᲠᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲑᲔᲥᲘᲠᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ და ᲮᲔᲗᲘᲠᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲭᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ და ᲪᲐᲚᲙᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲒᲣᲠᲘᲡᲨᲘ— ᲪᲮᲝᲠᲕᲔᲑᲘᲡ და ᲡᲘᲪᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲗᲐᲜ, ᲠᲝᲢᲠᲘᲒᲣᲚᲘᲡᲐ და ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲗᲐᲜ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡᲐ ᲪᲘᲚᲙᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲡᲣᲠᲘᲡᲨᲘ ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲨᲣᲜᲘᲚᲘᲡᲐ— ᲐᲠᲬᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲡᲘᲜᲯᲘᲡᲐ— ᲐᲠᲬᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ

„ივერია“

გამოდის 1899 წელსაც

იმავე პროგრამით როგორც წინად

ფასი გაზეთისა:

12 თვეით . .	10 მ. — კ.	6 » . . .	6 მ. » კ.
11 » . .	9 » 50 »	5 » . . .	5 » 50
10 » . .	8 » 75 »	4 » . . .	4 » 75
9 » . .	8 » — »	3 » . . .	3 » 50
8 » . .	7 » 25 »	2 » . . .	2 » 75
7 » . .	6 » 50 »	1 » . . .	1 „ 50

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი «ივერიის» რედაქცია,

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და ბაქაში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალაქთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკრძო საავათმყოფო ავადულატრიბეთურ ს. ბ. თოფურიასი.

ქ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფოთათვის. მეწუეკენიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან დანერვებით ავათმყოფებს მიიღებს
ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ, შარდით და სიფილისით
ექ. ფ. კ. ბერატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და სპბებიოს ქალი-
ექ. მ. ფ. კოგანი.

თვალების ავათმყოფისათვის
ექ. ი. ა. ვარშავსკი.

რჩეკა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქარა საავთმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აბერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.— ღია წერილი.—ადრესი, რომელიც მირთვეს კოგაკვის ქართველობამ კოგაკვის ეპისკოპოსს.- კორესპოდენცია სოფ. გერგეტიდან.— მეგობარს, (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ძველ ქრისტიანობაზე; საარეულ-ნობასა და **კეთილ-ზნეობაზე:**-ოჯახის ეკონ. მამაკაცი და დედაკაცი. ქალიშვილები.

სპბერა და **სასაუბეველო** ცნობათა განყოფილება: საქმეო კითხვების განმარტება —შეურულებანი.—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 ноября 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.